ოქმი:**ო63.6321309001**
თარიღი:**05/11/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 21

ქ. სამტრედია. 1 ნოემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 1 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი (ონლაინ ჩართვა), დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე, ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე (ონლაინ ჩართვა), ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ სტურუა (ონლაინ ჩართვა), კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი (ონლაინ ჩართვა).

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.
2. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე.
3. ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს ხელმძღვანელი, მარინა თევზაძე.
4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე; საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათელა ხაბეიშვილი.
5. ა.(ა).ი.პ ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–ს წარმომადგენელი, რამაზ კიკვაძე.
6. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

8. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი, ლევან გაბეჩავა.

9. ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ონლაინ ჩაერთვებიან საკრებულოს წევრები: ავთანდილ სტურუა, კოტე ნაცვლიშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, აკაკი მინაშვილი და დავით ნიკოლეიშვილი.

საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" -ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 216 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი~-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

4. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სექტემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

5. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის", (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–ს შორის 2020 წლის 16 ნოემბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა

შეთანხმებით, შეწყვეტისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

7. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᲐᲐ–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენეობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–სათვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

8. **სხვადასხვა**

დღის წესრიგის მე-8 საკითხთან დაკავშირებით (სხვადასხვაში), განცხადების გაკეთების უფლება ითხოვა კობა ძიძიგურმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს საკითხების განხილვის დროს, მაგრამ არა ისეთი მიდგომით, რომ შემდგომ კვალი ნათელი წაშლილიყოს. ნამდვილად არ ვუსურვებდი ამას საკუთარ თავს და არც სხვას. მადლობას ვუხდი მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრებს ერთად გაწეული მუშაობისათვის, ამ წლების განმავლობაში ერთად შეჯერებული შრომისათვის და დარწმუნებული ვარ, რომ მე-5 მოწვევის საკრებულო თავის ღირსეულ სიტყვას იტყვის ისე, როგორც თავისი სიტყვა თქვა მე-4 მოწვევის საკრებულომ. კეთილად ბრძანდებოდეთ, მარვალ კარგ დღეებს დავსწრებოდეთ და საქმეები გადაგვეწყვიტოს ყველას ერთად, ქვეყნის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" -ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 216 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, 2021 ***წლის 22 ოქტომბრის*** N 62-622129578 სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში შიდა მუხლობრივ ცვლილებას. კერძოდ, თანხა მცირდება მივლინების ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით; გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენის ხარჯის მუხლში 0.12

ათ.ლარით; სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 3.00 ათ.ლარით; რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.60 ათ.ლარით; საფოსტო მომსახურეობის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით, რეკლამის ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; აუდიტორული მომსახურეობის ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით; სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 2.00 ათ.ლარით, სხვა ხარჯების გეგმის მუხლში 0.40 ათ.ლარით. სულ თანხა მცირდება 7.72 ათ.ლარით. შესაბამისად თანხა იზრდება რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის ხარჯის მუხლში 0.22 ათ.ლარით, ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში 3.50 ათ.ლარით, ხოლო საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 4.00 ათ.ლარით. ასევე იზრდება საკუთარი სახსრებიდან შემოსავლების გეგმა 11.50 ათ.ლარით, აღნიშნული თანხით იზრდება ,, არაფინანსური აქტივების მუხლში - ბულდოზერები და სხვა დანარჩენი სპეციალური ტექნიკის'' პუნქტი. 2021 წლის 1 იანვრისათვის საკუთარი სახსრების ნაშთი შეადგენს 14.50 ათ.ლარს, შესაბამისად ხორციელდება აღნიშნული თანხის დაგეგმვა სატრანსპორტოო საშუალების შესაძენად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით) დამტკიცდა განკარგულება "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" -ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 216 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

2021 წლის 22 ოქტომბრის N 62-622129579, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2021 წლის ბიუჯეტში. ხორციელდება სუბსიდიით გასაწევ ხარჯების გეგმაში შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ „სამტრედიის მატეანე"-ს N5 გამოსაცემად, საჭიროა შემცირდეს თანხა ,,ქვეყნის შიგნით მივლინების'' ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით, ოფისის ხარჯის მუხლი, რომელიც არაა კლასიფიცირებული 0.30 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით, სულ თანხა მცირდება 2.30

ათ.ლარით. შესაბამისად იზრდება თანხა ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც.ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო სასტამბო ხარჯის მუხლში 2.10 ათ.ლარით და კავშირგაბმულობის ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით) დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***2021 წლის 22 ოქტომბრის*** N62-622129577, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს, 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საკუთარ შემოსავლებში შრომის ანაზღაურების მუხლის თანხა მცირდება 1.56 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯის მუხლში 1.56 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების თანხა 1.56 ათ.ლარით, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 1.56 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება მიზნობრი ტრანსფერში შიდა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ თანხა მცირდება მუხლში ,,მივლინება ქვეყნის შიგნით'' - 0.32 ათ.ლარით, რომელიც გადატანილი იქნა კატრიჯების შეძენა და დატუმბვის ხარჯის მუხლში; მცირდება ადგილობრივ ბიუჯეტში ტრანსპორტის დაქირავების გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება თანხა საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

ნუგზარ ჯამბურიამ მადლობა გადაუხადა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ მარინა თევზაძეს. აღნიშნა, რომ საქართველოს წინაშე, ქვეყნის, ჩვენი მუნიციპალიტეტისა და მომავალი თაობის წინაშე უდიდესია თქვენი ღვაწლი და დამსახურება. მადლობას გიხდით გაწეული შრომისათვის. ყოველთვის მითქვამს და დღესაც ავღნიშნავ, რომ ბატონი ვახტან დუნდუა, თავისი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმითა და თავდადებული შრომით იგივე ამპლუაშია, რასაც ეს შემოქმედებითი კოლექტივი ასრულებს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ქვეყანაში სიმშვიდე და ჯანმრთელობა დაისადგურებს.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სექტემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

> მომხსენებელმა გააცნო, ***2021 წლის 8 ოქტომბრის*** N62-6221281100, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანალიზს თანდართული ფორმების მიხედვით.
> მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სექტემბრის თვის შემოსავალმა შეადგინა 15119,0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 83,7%-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 8579,0 ათასი ლარი, რაც სექტემბრის თვის გეგმის 85,6 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 699,7,0 ათასი ლარი გეგმა შესრულდა-85,1 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 59,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 9,3 %-ით, შესრულების დაბალი პროცენტი გამოწვეულია იმით,რომ მიწის გადასახადის საბოლოო ვადად ითვლება ყოველი წლის ნოემბრის თვის 15 რიცხვი.

საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთელ კოლექტივს. რომ არა საკრებულოსა და მერიის ერთიანი ძალისხმევა, ის მიღწევები, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში განხორციელდა, როგორც მე-4 მოწვევის საკრებულოს ისტორიის ერთი მნიშვენლოვანი ფურცელი არ იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი შემოქმედებითი კოლექტივი ამ შემართებით გააგრძელებს გზას. წარმატებებს და წინსვლას გისურვებთ.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სექტემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“, (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეის მოწონების შესახებ''.

> მომხსენებელმა გაცნო ***2021 წლის 1 ოქტომბრის*** N62-622127437, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით დამტკიცებული ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის'' (სრიგპ) ფარგლებში, მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეის მოწონების შესახებ'', განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს. საპროექტო იდეის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე განსახილველად წარსადგენად აუცილებელი პირობაა,

იდეა მოწონებული იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.
საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში, მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეა (დანართი №1).

	საპროექტო იდეის სახელწოდება	**პროექტის სავარაუდო ღირებულება (ლარი)**		
		ჯამური ბიუჯეტი	**მოთხოვნილი გრანტი**	**თანადაფინანსება (ადგილობრივი ბიუჯეტი)**
1	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, ხიბლარის დასახლებაში მეფრინველეობისა და მესაქონლეობის მეურნეობებთან მისასვლელი გზისა და ხიდბოგირების რეაბილიტაცია	200 000	198 000	2 000

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“, (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეის მოწონების შესახებ''.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით - მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–ს შორის 2020 წლის 16 ნოემბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ მხარეთა შეთანხმებით, შეწყვიტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–ს შორის, 2020 წლის 16 ნოემბერს დადებული უძრავი ქონების (ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52Ა–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენეობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) თხოვების ხელშეკრულება.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–ს შორის 2020 წლის 16 ნოემბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ''.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით - მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ა–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენეობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–სათვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი–238775704) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ა) ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე 34693 $მ^2$ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობები (№1, განაშენიანების ფართი 1172 $მ^2$; №2, განაშენიანების ფართი 95 $მ^2$; №3, განაშენიანების ფართი 99 $მ^2$; №4, განაშენიანების ფართი 13 $მ^2$; №5, განაშენიანების ფართი 16 $მ^2$.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033.

ბ) ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52^{ა}–ში მდებარე 5930 $მ^2$ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობა (№1, განაშენიანების ფართი 1068 $მ^2$.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034.

პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება გამოყენებულ უნდა იქნას (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი–საფეხბურთო კლუბი სამტრედიას“ მიერ), მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების სარგებლობის ვადად განისაზღვროს 02 (ორი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ა–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენეობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–სათვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე’’.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით (სხვადასხვა) - განცხადება გააკეთა კობა ძიძიგურმა.

კობა ძიძიგური - დღეს ფაქტიურად ბოლო საკრებულოს სხდომაა ჩვენი შეკრების. მინდა გარკვეულ წილად დაგემშვიდობოთ და მადლობა გადავუხადო ყველას იმ პერიოდისათვის , რაც ერთად გავიარეთ და ვიშრომეთ. ამავე დროს შენდობა მინდა გითხრათ ყველას თუ ვინმეს ვაწყენინე ნებსით თუ უნებლიეთ. შეიძლება არა ერთი საკამათო თემა გვაქვს, მაგრამ როგორც ქრისტიანულ მოძღვრებაში გვიწერია ,,უნდა გვძულდეს ბოროტი საქმეები და არა ადამიანი’’. მეც მაქსიმალურად ვცდილობ რომ არავის მიმართ არანაირი სიძულვილი არ გამაჩნდეს, ყველას მიმართ კეთილგანწყობა მაქვს. მინდა შეგახსენოთ, რომ 3 ნოემბერი ჩვენი ტაძრის დღეა. ამ ტაძრის მშენებლობაში ჩვენ ყველამ ერთად მივიღეთ მონაწილეობა, ყველას გილოცავთ წინასწარ. წარმატებები თქვენ და თქვენი წარმატებებით ქვეყნის წარმატებები გვქონოდეს. საქართველოსთვის შეგვაძლებინოს ღმერთმა მაქსიმალურად გვეშრომოს.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი